სოფიო დემეტრაშვილი

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

ლიბერალიზმის თანამედროვე ტენდენციები

უკვე მრავალი ასწლეულია, რაც ლიბერალური იდეები სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მასზე უდიდეს გავლენას ახდენს. ლიბერალიზმის პირველი ჩანასახი მე-13 საუკუნის ინგლისში გაჩნდა, როდესაც თავისუფლების დიდი ქარტიით მონარქის უფლებები შეიზღუდა და პარლამენტარიზმის პირველი ნიშნები იქნა გამოკვეთილი [1, 379]. ლიბერალიზმი წარმოადგენს თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელშიც სახელმწიფოს მამოძრავებელ ძირითად ძალად ადამიანის თავისუფალი ნება და საზოგადოების ყოველი წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არის მიჩნეული [2, 9]. „ლიბერალიზმის მამად“ წოდებული ინგლისელი ფილოსოფოსი და ექიმი, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნე ჯონ ლოკია [3, 64]. ლიბერალიზმი წარმოადგენს თანამედროვე დასავლური დემოკრატიის იდეოლოგიურ ქვაკუთხედს, რომელიც მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კანონის უზენაესობა და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ კულტურა და რწმენები განსხვავდება, ლიბერალიზმი ამბობს, რომ ყველა პიროვნებას აქვს თვითგადარჩენისა და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის ინტერესი. ამდენად, ადამიანებს სჭირდებათ თანამშრომლობა და ძალადობის შეზღუდვა [4, 87-125].

ლიბერალიზმი სახელმწიფოებს განიხილავს, როგორც კონსტიტუციურ წარმონაქმნებს და მიაჩნია, რომ ასეთი სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთს და ემორჩილებიან საერთაშორისო სამართალს, რომელიც ურთიერთგაგების

პრინციპზეა დამყარებული [5, 37]. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე, რადგან არალიბერალური დემოკრატიები პრაქტიკაში ვერ ინარჩუნებენ მდგრადობას და ავტორიტარიზმისკენ უკუსვლის ნიშნებს ავლენენ [2, 5]. ლიბერალურ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლების მუდმივი მონაცვლეობა იძლევა იმის გარანტიას, რომ მთავრობის მეთაურთა პიროვნული მტრობა ხანგრძლივი დაძაბულობის წყაროდ არ გადაიქცევა.

ლიბერალური იდეოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერიოს ინდივიდების ყოფაში და მხოლოდ ის სფეროები უნდა განაგოს, რომელთა მოწესრიგებაც ინდივიდების უფლებამოსილების ფარგლებს სცდება. ამასთან, ლიბერალურმა იდეოლოგიამ არსებითი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ პროცესებზე და შედეგად განსაზღვრა სახელმწიფოს დემოკრატიული სახე [6, 87]. ლიბერალური იდეები მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნან ისეთი საზოგადოება, რომელშიც თითოეულ ადამიანს ექნება საშუალება სრულად და წარმატებით განავითაროს თავისი შესაძლებლობები [3, 69]. ლიბერალისტული იდეოლოგია ხშირად დემოკრატიულ სახელმწიფოებს უდევს საფუძვლად, ვინაიდან ლიბერალიზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ემყარება ინდივიდუალური თავისუფლების ხელშეუხებლობის პრინციპს, რომელიც თავის მხრივ, საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს.

ლიბერალიზმი მსოფლმხედველობაა, რომელიც ეფუძნება თანასწორობასა და შესაძლებლობების ხელოვნებას. სწორედ ლიბერალურმა იდეებმა დაანგრია მანამდე არსებული იმპერიები და სახელმწიფოებს მისცა დამოუკიდებლად განვითარების საშუალება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და კვლავ დადგა არჩევანის წინაშე, რომ თავი დაეღწია საბჭოთა „მარწუხებისაგან“ და ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ პერიოდში, თავიდან ეძლევა საქართველოს შესაძლებლობა, რომ იზოლაციიდან თავი დაეღწია და დაბრუნებულიყო დასავლურ ღირებულებათა სისტემაში. ლიბერალიზმი საბჭოთა სისტემაში არ

არსებობდა, ფაქტობრივად 70 წლის განმავლობაში ქვეყანა მოწყვეტილი იყო ცივილიზებულ და თავისუფალ სამყაროს, ხოლო შემდგომ, საბჭოთა პერიოდში, კომუნისტური პარტია მიმართული იყო დასავლური ლიბერალური სამყაროს დისკრედიტაციით. ბოლოს კი, სამწუხაროდ, კომუნისტური მემკვიდრეობა ძალიან ძლიერი აღმოჩნდა, ვინაიდან, უკვე ოცდაათ წელზე მეტი არის გასული და საქართველოში ლიბერალიზმის შესახებ არსებითად მცდარი შეხედულებებია გავრცელებული. გარკვეული ჯგუფები კი, მიზანმიმართულად ეწევიან ლიბერალური იდეების დისკრედიტაციას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკური კავშირი მეოცე საუკუნის კლასიკური ტოტალიტარული სახელმწიფო იყო, რომელიც დასავლურ სახელმწიფო მოწყობას ებრძოდა, ასევე, ცდილობდა ანტიდასავლური და ანტილიბერალური გზავნილების გავრცელებას. აღნიშნულმა კი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა [2, 51]. სტივენ ჯონსი მის პუბლიკაციაში ამბობს, რომ „საბჭოთა მემკვიდრეობა როგორი ბუნდოვანი, გამოგონილი და დამახინჯებულიც არ უნდა იყოს, მაინც არსებობს და უფრო მეტიც, ის მყარად არის ჩაშენებული საქართველოს აწმყოში. ამ მემკვიდრეობის გააზრება ძალზედ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ავხსნათ ქართული დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე. ის კავშირები, რომლებიც არსებობს არაკვალიფიციურ ინსტიტუციონალიზაციასა და „ქარიზმატულ“ ლიდერებს შორის, მყიფე სამოქალაქო საზოგადოებასა და მალულად მოქმედ ბიუროკრატიულ აპარატს შორის, და ბოლოს, სახელმწიფოს უუნარობაც, რომ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია მოახდინოს, უკავშირდება საბჭოთა წარსულს“ [7, 11]. 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ერთპარტიული სისტემა არსებობდა. კომუნისტური პარტია კი იყო ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არსებობდა ლეგალურად და მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, შესაბამისად, უკლებლივ ყველა არჩევნებზე იმარჯვებდა „კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკი“ [2, 53].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს არ გააჩნდათ პოლიტიკური პლურალიზმის ისტორიული გამოცდილება, რის გამოც წარუმატებელი აღმოჩნდა ტრანზიცია ლიბერალურ დემოკრატიაზე. ამასთან, სახელმწიფოში არსებულმა პარტიებმა ვერ შეძლეს პოლიტიკური სივრცის კონსოლიდაცია [2, 57].

პოლიტიკურ იდეოლოგიათა ნებისმიერი ჩამონათვალი უნდა იწყებოდეს ლიბერალიზმით, რაც სამრეწველო დასავლეთის იდეოლოგიას წარმოადგენს, რომელიც ურთიერთსაპირისპირო ღირებულებებსა და შეხედულებებს მოიცავს. ლიბერალიზმი გულისხმობს კანონის უზენაესობას და მის წინაშე ყველას თანასწორობას, რომელიც არ კრძალავს განსხვავებულ შეხედულებებს, არამედ თავის თავში მოიაზრებს მრავალფეროვნებას. თავის მხრივ, პოლიტიკური ლიბერალიზმი ეძებს სამართლიანობის ისეთ პოლიტიკურ კონცეფციას, რომლის მხარდასაჭერად შესაძლებელი იქნება მართულ საზოგადოებაში გონივრული რელიგიური, ფილოსოფიური და მორალური დოქტრინების მიერ საყოველთაო კონსენსუსის მიღწევა. შედეგად კი, პოლიტიკური ლიბერალიზმის ამოცანაა სამართლიანობის თვითკმარი პოლიტიკური კონცეფციის მიღება [8, 69]. ლიბერალიზმისთვის მმართველი არ არის უშეცდომო და ამიტომაც იდეოლოგია ემხრობა მცირე მთავრობის, ანუ ნაკლები შესაძლო შეცდომების არსებობას. საერთაშორისო სისტემაში ავტორიტარული სახელმწიფოების გავლენის ზრდა და ლიბერალური წესრიგის რღვევა მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას უსაფრთხოების გარემოზე, რაც განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ეგზისტენციალური გამოწვევების წინაშე დააყენებს [9].

ლიბერალიზმი არსებითი საფრთხის წინაშე დააყენა აგრეთვე მულტიკულტურული საზოგადოების იდეამ. თავისთავად, მულტიკულტურალიზმი რასაზე, ეთნიკურობაზე, ენაზე და სხვ. ნიშანზე დამყარებული იდენტობის კოლექტიურ ცნებას უკავშირდება, ხოლო, ფასეულობები, რომლებიც არსებითია ჯგუფური იდენტობისთვის, აუცილებლად უნდა იქნეს მიჩნეული

დამოუკიდებლად, მიუხედავად მათი ლიბერალობისა, არალიბერალობისა თუ თუნდაც ანტილიბერალობისა [10, 76]. აგრეთვე, განვითარებადი სამყაროს ძირითად ნაწილში, პოლიტიკურმა ისლამმა არადასავლური პოზიციის შემოთავაზებით, შესაძლოა ლიბერალიზმიც დაამარცხოს. ასევე, მიუხედავად ზოგიერთ სახელმწიფოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა, ეს უკანასკნელი ლიბერალური ღირებულებების საფუძველზე არ განხორციელებულა. შესაბამისად, ოცდამეერთე საუკუნის პოლიტიკურ განვითარებაში შესაძლოა თავი იჩინოს იდეოლოგიურმა მრავალსახეობებმაც. ხოლო, პოსტმოდერნიზმის პერსპექტივიდან, ლიბერალიზმის კრიზისი განმანათლებლობის გეგმის (აღნიშნული გეგმის ქვაკუთხედს წარმოადგენდა მოსაზრება, რომ საყოველთაოდ მიღებული რაციონალური პრინციპების ერთობლიობას შესწევს უნარი, ჩამოაყალიბოს პირობები, რომლებიც ადამიანებს საშუალებას მისცემს, არათანაზომიერად მიზნებს მისდიონ) საბოლოოდ დამარცხების საწინდარს წარმოადგენს. ლიბერალიზმი კი, მუდამ ამ გეგმის ნაწილი იყო. მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ლიბერალიზმს შესაძლოა ისეთივე მომავალი ჰქონდეს, რომელშიც ის პოლიტიკური წყობის მრავალ მოდელთა შორის უბრალოდ ერთ-ერთი იქნება, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ლიბერალიზმის ჭეშმარიტი მემკვიდრე პლურალიზმია, რომლის ძალაც იმაშია, რომ ის თანაბარუფლებიანად განიხილავს და ეთანხმება როგორც ლიბერალურ, ისე არალიბერალურ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს [10, 77].

ისტორიულად, ლიბერალიზმის კრიტიკის მთავარ ობიექტად იქცა მმართველობის თვითნებობა და პიროვნების თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც ირჩევს და აკონტროლებს ხელისუფლებას. სხვაგვარად ლიბერალური ფასეულობები ფესვს ვერ გაიდგამს სახელმწიფოში. ამასთან, ლიბერალიზმი ძალიან კრიტიკულად უდგება დემოკრატიის არსს, რადგან თავისი კონცეფციით, ლიბერალიზმი ამბობს, რომ დემოკრატია შეიძლება ძალიან მარტივად იქცეს

უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზე, ხოლო, ლიბერალიზმისთვის ყველაზე ძვირფასი არის ინდივიდი და მისი თვითრეალიზაცია [11, 13].

საქართველოში ლიბერალიზმი სრულიად ახალი გამოწვევების წინაშეა, ვინაიდან ლიბერალიზმს ესაჭიროება განახლება, დღევანდელ რეალობასთან მისადაგება, ხოლო წლების განმავლობაში, დეზინფორმაციის გამო, ლიბერალიზმი არასწორად იქნა გააზრებული. განუვითარებელმა პარტიულმა სისტემამ 1990-იანი წლებიდანვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელება და მისი ადეკვატური აღქმა. იდეოლოგიისგან სრულად დაცლილი პოლიტიკური ორგანიზაციები ქვეყანაში იდეოლოგიის შესახებ საჯარო დებატებს ვერ უზრუნველყოფდნენ, ლიბერალიზმი და იდეოლოგიური საკითხი თითქმის სრულად ამოკვეთილი იყო ქართული პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგიდან [2, 54]. აღნიშნულმა კი, საქართველოში ლიბერალიზმის გავრცელებას სერიოზული დაღი დაასვა. გარდა მითითებულისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა დაფუძნებული იყო ცენტრალურ დაგეგმარებაზე, რაც იმას გულისხმობდა, რომ სახელმწიფო აპარატის მიერ კონტროლდებოდა ყველანაირი რესურსი, შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო ორგანო იღებდა გადაწყვეტილებას, თუ რა უნდა ყოფილიყო წარმოებაში, რა ოდენობით, რომელ ქვეყანაში მოხდებოდა ექსპორტი, რა ფასად და ა. შ [12, 222].

შემდგომ იყო ტრაგიკული 90-იანი წლები და აფხაზეთის ომი. აღნიშნულმა კი საქართველოსთვის ძალიან მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები დააყენა. შედეგად, ოფიციალურმა თბილისმა, დე-ფაქტო კონტროლი დაკარგა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონზე [13, 210]. რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულმა მიზანმა გაამართლა, ვინაიდან, კონფლიქტური რეგიონები ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებულია საქართველოს დესტაბილიზაციისათვის. უდავოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსაზღვრე რეგიონებზეც,

სადაც საქართველოს ხელისუფლების კონტროლი ვრცელდება. ყოველივე აღნიშნულმა კი, უკიდურესად მავნე ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე და ხელი შეუშალა საქართველოს სრულფასოვან ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბებაში.

ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლიო წესრიგის მიხედვით, ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია დამოუკიდებლად საკუთარი პოლიტიკური კურსის არჩევის უფლება. არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე, რადგან არალიბერალური დემოკრატიები პრაქტიკაში ვერ ინარჩუნებენ მდგრადობას და ავტორიტარიზმისკენ უკუსვლის ნიშნებს ავლენენ. ხოლო, ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულ ხასიათს. ისევე, როგორც ხელისუფლების დანაწილებისა და ძალაუფლების გამიჯვნის (Check and Balance) პრინციპიც, რომელსაც ლიბერალური დემოკრატია უსვამს ხაზს. ისევე, როგორც კანონის უზენაესობის პრინციპს.

დღევანდელ რეალობაში ლიბერალიზმი წარმოჩენილია როგორც ჰუმანიზმის, იდენტობისა და რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლი იდეოლოგია. განსხვავებით თანამედროვე საქართველოსგან, ლიბერალიზმის არსი უდავოდ ადეკვატურად იყო წარმოჩენილი XIX საუკუნეში. ლიბერალიზმის ღირებულებების ფართო გავრცელებას ერთგვარი დაღი დაესვა 1921 წელს, ბოლშევიკური აგრესიის შედეგად. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ კი, ძველ დროს ჩაბარდა საქართველოს ლიბერალური წარსული. ხოლო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკური კავშირის ნგრევის შემდეგ, საბჭოთა მემკვიდრეობა საქართველოსთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა, ვინაიდან, აღნიშნულმა ლიბერალიზმის ხელახლა გავრცელებაზე არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინა. აგრეთვე, ჰიბრიდული ომის მეთოდებმაც, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე, საქართველოშიც ლიბერალიზმს მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა.

ლიბერალიზმი და დემოკრატია არ არის იდენტური ცნებები, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს ისეთი ლიბერალური რეჟიმი, რომელიც დემოკრატიასთან ახლოსაც ვერ მივა, მაგალითად,

მე-19 საუკუნის გერმანია და მე-20 საუკუნის ბოლოს სინგაპური და ჰონგ-კონგი. ამასთან, შესაძლოა მმართველობა იყოს დემოკრატიული და ამავდროულად არალიბერალური. თუმცა ლიბერალიზმი მჭიდრო კავშირშია დემოკრატიასთან, ვინაიდან ინდივიდუალურ ავტონომიას იცავს, რაც აპრიორი მოიცავს პოლიტიკური არჩევანის უფლებას. საინტერესოა, რომ ლიბერალიზმი ძალიან კრიტიკულად უდგება დემოკრატიის არსს, რადგან თავისი კონცეფციით, ლიბერალიზმი ამბობს, რომ დემოკრატია შეიძლება ძალიან მარტივად იქცეს უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზე, ხოლო, ლიბერალიზმისთვის როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაზე ძვირფასი არის ინდივიდი და მისი თვითრეალიზაცია. ლიბერალიზმის უმთავრეს ღირებულებას პიროვნული თავისუფლება წარმოადგენს და ზოგჯერ მას სამართლიანობასა და თანასწორობაზე მაღლაც კი აყენებენ. თუმცა თითოეული პიროვნების თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება, სწორედ ამიტომ, ინდივიდი თავისუფლების იმ მაქსიმუმს უნდა ფლობდეს, რომელიც სხვის თავისუფლებას არ შეზღუდავს. ლიბერალიზმი მიუკერძოებელია, ვინაიდან, ის იმ წესების ერთობლიობას მოიცავს, რომლის მიხედვითაც, ინდივიდს საკუთარი ზნეობრივი არჩევანის ნება ეძლევა.

ლიბერალური დემოკრატია და მის საფუძველზე, ფასეულობებზე აშენებული პოლიტიკა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობასა და ღირებულებებზეა დაფუძნებული, მანამდე მაინც, სანამ კაცობრიობა სხვა უფრო წარმატებულ და სამართლიან მოდელს შეიმუშავებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Adamson B., Magna Carta, Liberalism and the Human Right Agenda, The Western Australian Jurist, Vol. 7, 2014.
2. ხუციშვილი თ., კალანდაძე ნ., ჯაფარიძე გ., ჯოხაძე გ., ხარებავა გ., ლიბერალიზმი და საქართველო, ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და

სამოქალაქო განათლების ცენტრი, თბილისი, 2020.
3. კურპაშვილი ჰ., ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ეპოქაში, ლექციების კურსი, საგამომცემლო სახლი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016.
4. Owen J., How Liberalism Produces Democratic Peace, The MIT Press, Vol. 19, N2, 1994
5. Layne Ch., Kant or Cant: The Myth of the Democratic Peace, International Security, Volume 19, Issue 2, 1994.
6. სენარკლენი პ., არიფენი ი., საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა, ცქიტიშვილი ნ.-ს თარგმანი, გამომცემლობა „ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“, თბილისი, 2014.
7. ჯონსი ს., საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ჩხეიძე ხ.-ს თარგმანი, თბილისი, 2012.
8. როლზი ჯ., პოლიტიკური ლიბერალიზმი, ჭიაბერაშვილი ზ.-ს თარგმანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
9. ნატროშვილი დ., აშშ, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი, 2021 წლის გამოწვევები და საქართველო, 2021, იხ., https://bit.ly/3yDskAc [16.05.2022].
10. ჰეივუდი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, ბაკურაძე თ.-ს თარგმანი, თბილისი, 2004.
11. აბზიანიძე ზ., ვასაძე თ., ელაშვილი ქ., ნინიძე ქ., ჯანელიძე ო., ჯალიაშვილი მ., ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015.
12. მაგშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, აბაშიძე ა.-ს, გვალია გ.-ს და სხვათა თარგმანი, მეორე შესწორებული გამოცემა, ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.
13. დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

Sophio Demetrashvili

Doctor of Law, Associate Professor at Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Ph.D student of the Doctoral Program in Political Science at Caucasus International University

MODERN TRENDS OF LIBERALISM

Summary

Liberalism is a political ideology based on the idea of freedom and equality, in which the free will of a person and the individual responsibility of every member of society are considered the main driving force of the state. Liberalism views states as constitutional entities and believes that such states respect each other and obey international law based on the principle of reciprocity. In a liberal democratic political system, the constant rotation of government ensures that the personal enmity of the heads of government does not become a source of long-term tension.

According to liberal ideology, the state should minimally interfere in the existence of individuals and should govern only those areas, the regulation of which is beyond the scope of the authority of individuals. In addition, liberal ideology had a significant impact on political processes and as a result determined the democratic face of the state.

Any list of political ideologies must begin with liberalism, which is an ideology of the industrial West that embraces conflicting values and beliefs. Liberalism implies the supremacy of the law and the equality of all before it, which does not prohibit different views, but embraces diversity. Political liberalism, on

the other hand, seeks a political conception of justice in support of which a universal consensus can be reached by reasonable religious, philosophical, and moral doctrines in a governed society. As a result, the task of political liberalism is to adopt a self-sufficient political concept of justice.